№ 100

ფასი 1 მან.

წელიწადი მეორე — წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 9 მაისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ა. ი. ეულაბიშვილის დირექცია.

პარასკევს, მაისის 9, მესხეთისა და ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის სასარგებლოდ

1) „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მეორე ბალეტი.

შაბათს, მაისის 10, ტაისი. კვირას, მაისის 11, დილით ტრავიატა. საღამოს ნ. ნ. ჩერეპნინის ბენეფისი სადკო.

სახელმწიფო თეატრი

სახელმწიფო თეატრის დირექცია იწვევს იმ პირთ, რომელთაც კარგი ხმა აქვთ და სურთ ხორომში შესვლა. ხმების გასინჯვის შემდეგ ღირსეულნი ჩარიცხული იქნებიან ხორომში ჯამაგირით. ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე თეატრის კანტორაში 11—2 საათამდე. ხმების გასინჯვა მოხდება მაისის 12-ს, 2 საათ.—4 საათამდე. 808 5—3

ცენტრალურ სასურსათო საბჭოს

შეიძინა სხ. და სხ. ჯიშის გამოსადეგი შემდეგ წლების [illegible]ვისაც დასათესა[illegible] სახმარი ახალი მოსავლის თესლეულობა.

ეს თესლეულობა მიეცემათ ერობებს, კოოპერატივთა კავშირებს და ქალაქის თვითმართველობებს ნაღდ ფულზე.

811 2—2

საჯარო ვაჭრობა

ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1919 წლის 15 მაისს

მამულის სამმართველოში მოხდება საჯარო ვაჭრობა ტაბაწყურის ტბის სათევზაო უფლების იჯარით გაცემაზე. დაწვრილებითი ცნობები მსურველს შეუძლიან მიიღოს ამავე სამმართველოში ბორჯომში ყოველ დღე გარდა უქმე დღეებისა. 597 2—1

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლიორისა.

30 აპრილი, 1919 წ.

№ 63.

არა ერთხელ მიმიქცევია ყურადღება ჩემ მიერ ამა წლის იანვრის 5-ს № 18 ის ბრძანებით მე-11 სექციის გამგეთ დანიშნულის ა. ვ. ზედგინიძისა იმ გარემოებაზე, რომ ქაღალდები, მიუხედავათ ჩემი რეზოლიუციებისა, დამაკმაყოფილებლათ არ სრულდება და გვიანდება სექციაში. უკანასკნელ დროს სექციაში დაგროვდა საგრძნობი რიცხვი შეუსრულებელ ქაღალდებისა, ზოგიერთების სამი კვირით დაგვიანებით. თუმცა, ჩემი კატეგორიული მოთხოვნის გამო, ქაღალდები დაბოლოს წარმომიდგინეს ორი დღის განმავლობაში, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ქაღალდებისა შეუძლებელი გახდა გამეშვა დაწესებულებიდან, ვინაიდან ცუდათ და ნაჩქარევათ იყო შესრულებული. ამის გამო მე იძულებული გავხდი, ერთ ასეთ ქაღალდზე [illegible] შენიშვნა მიმეცა სექციის გამგისათვის და გამეფრთხილებია იგი, რომ უკეთუ შემდეგშიაც საქმე ასე გაგრძელდებოდა, დამნაშავე იძულებული იქნებოდა კონტროლში სამსახური დაეტოვებია. ამ ჩემმა შენიშვნამ გამოიწვია ა. ვ. ზედგინიძის პირადათ ჩემთან მოსვლა და სიტყვიერი ახსნა-განმარტება, რომელიც არც თავის მკაცრი და გამომწვევი ფორმით და არც არსებითად სამსახურის მოთხოვნილებისა და ინტერესს არ შეესაბამებოდა და რომელმაც საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ სექციის გამგე ა. ვ. ზედგინიძე არ შეეფერება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას. ამ განმარტებამ შემთხვევა მომცა იმაშიაც დავრწმუნებულიყავი, რომ ა. ვ. ზედგინიძე ქართული წერა-კითხვის უცოდინარია, ვინაიდან მანქანაზე გარკვევით დაბეჭდილი ქართული ქაღალდი ჩემთან ვერ წაიკითხა, ხოლო ამ გარემოებამ მას მაინც ხელი ვერ შეუშალა დაჟინებით არ მიეღო ჩემი შენიშვნა-განმარტება, რომ ხსენებული ქაღალდი, პირადათ ჩემ მიერ გადაკეთებული, პირვანდელი სახით არ შეიძლებოდა გაშვებული ყოფილიყო, რადგან არ იყო დამაკმაყოფილებელი, როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით, ამიტომ, ვინაიდან ჩემთვის სიცხადი[illegible]ამ[illegible]რკვა, რომ ა. ვ. ზ[illegible] როგორც თავისი[illegible] დაკისრებულს თავის თანამდებობისათვის და განზრახ გაუსწორებელ მოხელეს, არ შეუძლია აწარმოოს მინდობილი საქმე, მე მას განვუცხადე, რომ იგი სექციის გამგის თანამდებობიდან ჩამოყენებული იქნება, ამის შემდეგ, იმავე დღეს, ა. ვ. ზედგინიძემ შემოიტანა ჩემთან თხოვნა სამსახურიდან სრულიად დათხოვნის შესახებ. ამ ფორმალური მიზეზის მიხედვით საჭირო აღარაა მეორე სექციის გამგე ა. ვ. ზედგინიძე ჩამოვაყენო თანამდებობიდან: მისი თხოვნისამებრ მას სრულიად ვითხოვ სამსახურიდან.

სახელმწიფო კონტროლიორი

ფ. გოგიჩაიშვილი.

—

მინაწერულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

30 აპრილი, 1919 წ.

№ 83.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვიცე-დირექტორი გიორგი კონსტანტინეს ძე შოთაძე მისი ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრათ არჩევის გამო ამა წლის 30 აპრილიდან.

3 მაისი, 1919 წ.

№ 84.

მოწვეულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს იურისკონსულტათ თავისუფალ ქირით ნაფიცი ვექილი დავით ბესარიონის ძე კვირკველია, თვიურად 750 მ. ჯამაგირით, ამა წლის პირველ მაისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კანდელაკი.**

ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორი **ჰანტურიშვილი.**

—

დადგენილება.

ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარისა.

№ 6.

1919 წ. იანვრის 29-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ სას. დებ. მე-218 და 226 მ. თანახმათ დაადგინა: ტფილისის სასამართლო პალატის კანცელარიის მოხელე მიხეილ ივანეს ძე მერებოვი დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან, თხოვნის თანახმათ ამა წლის თებერვლის პირველიდან.

№ 7.

1919 წ. იანვრის 30-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ სას. დებ. მე-218 და 226 მუხ. თანახმათ, ელენე ლუარსაბის ასული მალალაშვილი, რომელიც პალატის უფროს თავმჯდომარის კანცელიარიაში მსახურებდა შტატ-გარეშე, დათხოვნილია თხოვნის თანახმათ ამა წლის თებერვლის 1-დან.

№ 8.

1919 წ. იანვრის 30-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ დაადგინა: ა. ი. ზადოროჟნოვი, რომელიც მსახურობდა პალატის უფროსი თავმჯდომარის კანცელარიაში შტატ გარეშე, გამორიცხულია მოსამსახურეთა სიიდან სიკვდილის გამო.

№ 9.

1919 წ. იანვრის 31-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ, სას. [illegible] თანახმათ დაადგინა: თამარ კონსტანტინეს ასული შრეიბერი მიღებულია პალატის უფროსი თავმჯდომარის კანცელარიაში შტატ გარეშე, კანცელარიის მოსამსახურის ჯამაგირით, ამა წლის თებერვლის პირველიდან.

№ 10.

1919 წ. თებერვლის 6 ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ დაადგინა: ინჟინერი ვიქტორ ალექსანდრეს ძე ფორტუსოვი ჩაირიცხოს სამსახურში შტატ-გარეშე ამა წლის 1 თებერვლიდან სასამართლოს დადგენილებით შენობის ელექტრონის სადგურის მექანიკათ, მასვე ევალება ცენტრალურ გათბობის ხელმძღვანელობა დამატებით ჯამაგირით 300 მან თვეში, სამეურნეო ხარჯების კრედიტიდან.

№ 11.

1919 წ. თებერვლის 21 ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ ნოტ. დებ. მე-16 მუხ. თანახმათ დაადგინა: დ. ბაღდადის ნოტარიუსი სტეფანე პავლეს ძე ხოჯევანოვი დათხოვნილია სამსახურიდან თხოვნის თანახმათ.

№ 12.

1919 წ. თებერვლის 26-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ დაადგინა: პალატის შტატების შემოკლების გამო, დათხოვნილ იქნას სამსახურიდან კანცელარიის მოსამსახურე ბარბარე მიხეილის ასული ხარმოვა, სალიკვიდაციოს მიცემით, თანახმათ საქართველოს ნაციონალურ საბჭოს 1918 წ. ივლისის კანონისა.

№ 13.

1919 წ. მარტის 5-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ, თანახმათ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამა წლის თებერვლის 6-ს მოწერილობისა № 589, აღნიშნულ პალატის შტატების შემოკლების შესახებ, დაადგინა: დაითხოვოს სამსახურიდან ამა 15 მარტიდან კანცელარიის მოხელე გრიგოლ გოლოვჩენკო, მიხეილ ივანიცკი, გალინა ტიმოფეევა, ლიდა კოლესნიკოვა, ევგენია კუნკევიჩი, ელენე ხოვსენკო და ემილია ბელოცერკოვსკაია და შტატ-გარეშე მოსამსახურეები: ვლადიმერ მაკაროვი და კონსტანტინე მაკაროვი სალიკვიდაციოს მიცემით საქართველოს ნაციონალურ საბჭოს 1918 წ. ივლისის 5-ს კანონის მიხედვით.

№ 14.

1919 წ. მარტის 15-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ დაადგინა: ნინო ილარიონის ასული ელისაშვილი მიღებულ იქნეს პალატის კანცელარიაში შტატ-გარეშე, კანცელარიის მოსამსახურის ჯამაგირით ამა წლის მარტის 15-დან, დროებით კი მივლინებულია ის საგანგებო სასამართლოს კანცელარიაში.

№ 15.

1919 წ. მარტის 6-ს ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ბრძანების 2ე-9 მუხ. თანახმათ სასამართლოებში ნაციონალიზაციის შემოღების შესახებ, დაადგინა: დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან ამა წლის 15 მარტიდან კანცელარიის მოსამსახურენი: ნადეჟდა ოვსიანნიკოვა, ანასტასია ჩისლენკო, ანა ხოდოროვსკაია და ოლღა ალექსეევა, სალიკვიდაციოს მიღებით საქართველოს ნაციონალურ საბჭოს 1918 წ. 5 ივლისის კანონისა.

მოქალაქენო! განადგურებული მესხეთ-ჯავახეთი შველას ითხოვს. გაუწოდეთ ძმური დახმარების ხელი გაპარტახებულ მხარეს. მოიხადეთ თქვენი წმინდა მოვალეობა: შეეწიეთ მას.

შემოწირულება მიიღება გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ს კანტორაში.

შინა ოფიციალური განყოფილება

სახალხო განათლების სამინისტროში.

განათლების მინისტრის ამხანაგისა ნოე ცინცაძის მოხსენება მთავრობისადმი.

საუკეთესო სახელმძღვანელოთა ავტორთათვის პრემიების მისაცემად ასი ათასი მანეთის გაღების შესახებ.

მთავარი საკითხი, რომელსაც განათლების სამინისტრომ იმ თავითვე მიაქცია ყურადღება რესპუბლიკის სკოლათა გარდაქმნა იყო იმ სახით, რომ იგი შეფარდებული და შეგუებული ყოფილიყო ხალხის ცხოვრებასთან,—მის საარსებო მოთხოვნილებასთან.

ამ მხრივ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ არსებული სკოლა სავსებით ჩამოშორებული იყო ცხოვრებას, სამინისტროს ბევრი მუშაობა დასჭირდებოდა და იგიც თანდათანობით შეუდგა დასახულ მიზნების განხორციელებას.

უწინარეს ყოვლისა სამინისტრომ მოახდინა მოსწავლე ახალგაზრდობის გადაჯგუფება ეროვნულ პრინციპის მიხედვით და შეეცადა გაეტარებინა სწავლების გაეროვნება შეძლებისა და გვარად.

ცხადია, საქმეს ბევრი დაბრკოლება გადაეღობებოდა ვინაიდან სათანადო მომზადებულ მასწავლებელთა უყოლობის გარდა, არც ეროვნულ სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელოები მოიპოებოდა. მართალია აქა იქ გამოჩნდნენ სახელმძღვანელოების შემდგენელნი, მაგრამ მათი ნაშრომი ვერც რაოდენობით და ვერც განსაკუთრებულ თვისებით ვერ აკმაყოფილებს ეროვნულ სკოლის მოთხოვნილებას,—რამაც თუ სპეციალურ საგნის უსაჭიროესი სახელმძღვანელო, არამედ საზოგადო განათლების სკოლაც დღეს უსახელმძღვანელოთაა და ეს მეტის მეტად აბრკოლებს საქმეს და ხელს უშლის სკოლის წარმატებას. და ამ სამწუხარო მოვლენის სიმწვავე განსაკუთრებით ცხადი შეიქმნა მას შემდეგ, რაც სამინისტრო უკვე შეუდგა სკოლის ძირითად რეორგანიზაციას თუ წინედ კიდევ შეიძლებოდა რუსლ ენიდან გადმოღებულ სახელმძღვანელოებით მუშაობა, დღეს, სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირების შემდეგ არსებულ სახელმძღვანელოებით მოსწავლე ახალგაზდობის დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ახალ სკოლას ახალი შესაფერი სახელმძღვანელო უნდა და ამ მხრივ სამინისტროს აზრით საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

სამინისტროს განზრახვა აქვს ახლო ხანში შეადგინოს მცოდნე პირთა კომისიები, რომელნიც შეიმუშავებენ რესპუბლიკის ყველა საფეხურის სკოლის ტიპს, სასწავლო გეგმას, პროგრამებს, გადასინჯავენ არსებულ სახელმძღვანელოთ, მოუწოდებენ ავტორებს შესაფერ წიგნების შესადგენად და სხვ. აი, სწორედ აქ არის საჭირო მთავრობის დახმარება, რომ სამინისტრომ შესძლოს კერძო ინიციატივის წახალისება შესაფერის პრემიების დანიშვნის სახით.

სამინისტროსთან შემდგარი სამეცნიერო კომისია გაეცნობა ავტორთაგან წარმოდგენილ სახელმძღვანელოს, სათანადოდ დააფასებს და საუკეთესოდ ცნობილთ დაუნიშნავს შესაფერ პრემიას.

განათლების სამინისტრო დარწმუნებულია, რომ ღირსეული მუშაკის დაჯილდოება სპეციალისტებში ერთგვარ სიფხიზლეს და წაქეზებას გამოიწვევს, რაიცა აუცილებლად საჭიროა სკოლის წარმატებისათვის. ჯერ ამ საქმითვის საკმაო იქნება ასი ათასი მანეთი. მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს, ვშუამდგომლობ მინისტრთა საბჭოს წინაშე, მოწონებულ იქნეს აქვე დართული კანონ-პროექტი და წარმოდგენილი დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად.

კანონ-პროექტი

საუკეთესო სახელმძღვანელოთა ავტორთათვის პრემიების მისაცემათ 100,000 მანეთის გაღების შესახებ.

1. გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ასი ათასი მანეთი საუკეთესო სახელმძღვანელოების (როგორც ორიგინალურთა, ისე ნათარგმნთა) ავტორთათვის პრემიების მისაცემად.

2. მიენდოს სახალხო განათლების მინისტრს შეიმუშავოს და დაამტკიცოს წესი სახელმძღვანელოთა გასინჯვა-შემოწმებისა და მათ ავტორთა პრემიებით დაჯილდოებისათვის.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

რაჭის მადნის წყლები.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო ამ დღეებში გზავნის რაჭაში საგანგებო კომისიას იქაურ მადნეულებიან წყლების მისაღებათ და ეროვნებაზე გადასაცემათ, უმთავრესათ ს. უწერის წყლებისას, რომელიც შესანიშნავ წყაროების გარდა სააგარაკო ადგილსაც წარმოადგენს.

ქალაქის აბანოებზე.

გუშინ ტფ. ქალაქის მოურავმა ბ. ბ. ჩხიკვიშვილმა ინახულა მიწათ-მოქმედების მინისტრი ბ. ხომერიკი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ქალაქის აბანოების გადაცემის შესახებ ქალაქის თვითმართველობის ხელში.

სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი.

მიწ. მოქმედების სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი ბ. ა. ხ. როლოვი დაბრუნდა ტფილისში და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

სამხედრო სამინისტროში

ჯარში კულტურულ მუშაობისათვის.

სამხედრო სამინისტროს კულტურულ განმანათლებელი სექცია მოუწოდებს სახალხო ლექტორებს და მასწავლებლებს წაიკითხონ ლექციები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან ჯარის ნაწილებში.

მსურველთ ვთხოვთ მიმართონ კულტურულ-განმანათლებელ სექციის დრ. გამგეს კაპ. გორგაძეს, სამხ. სამინ. მთავარ შტაბის განყოფილებაში, სასახლის ქუჩაზე.

იუსტიციის სამინისტროში

ნაფიც მსაჯულთა არჩევნების შესახებ.

იუსტიციის სამინისტროს თხოვნები მოსდის თითქმის ყველა სამაზრო ერობებიდან ნაფიც მსაჯულთა არჩევნების დრო გაგრძელებულ იქნეს. სამინისტრომ განუმარტა მათ, რომ მათი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება და არჩევნები უნდა მოხდეს დანიშნულ დროს

დამფუძნებელი კრება

დღევანდელი სხდომის წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი დადგენილებისა დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიისათვის 100.000 მანეთის გადაცემის შესახებ. მომხსენებელია ან. სოლოღაშვილის ასული.

2. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა—დამფუძნებელ კრების წევრთა იმუნიტეტისა. მომხსენებელია ან. სოლოღაშვილის ასული.

3. კანონ-პროექტი ოჯახურ მდგომარეობით ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებისა. მომხსენებელია პავლე საყვარელიძე.

4. გაგრძელება მიჯელობისა სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვის შესახებ ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ადეიშვილის უკანონო მოქმედების შესახებ.

5. სახელმწიფო კონტროლის არჩევა.

6. შეკითხვა ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციისა მთავრობისადმი—სასამართლო პალატის თავმჯდომარის მიხეილ მღვდლიშვილის დათხოვნის შესახებ.

7. შეკითხვა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისადმი ძეგვის ხიდის ამფეთქებელთათვის სიკვდილის დასჯის 12 წლის კატორღით შეცვლის შესახებ.

8. შეკითხვა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა მთავრობისადმი ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა და სხვათა სრულიად განთავისუფლების შესახებ.

კანონ-პროექტი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეთ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-ტამდე (ძველი სტილით).

2. ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველ ქვეშევრდომთ, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წ. ივლისის 19-დე (ძვ. სტ.) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ მას სურს საქართველოს მოქალაქეობა,—მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქეთ მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით.

3. მე-4 მუხლში აღნიშნულ წესითვე მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქეთ ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ა) აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში, ან თავის საქირაო შრომით საზრდოობს, ბ) არა ნაკლებ სამი წლისა სცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე და გ) და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

4. მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც, თუ მათი მთხოვნელი სათანადო პირობებს აკმაყოფილებს მისცემს მას მოქალაქეობის მოწმობას.

5. ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი უნდა ჩაირიცხულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ზემოაღნიშნულ ნულ (ქ-2-3) პირობის გარეშეც უკეთუ ის სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განუცხადებს ამის სურვილს: საქართველოს მცხოვრები-ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, ხოლო უცხო სახელმწიფოში მცხოვრები მახლობელ კონსულს. ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან მისცენ მთხოვნელს საქართველოს მოქალაქეობის მოწმობა.

II.

6. აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთ ჩაითვლება:

ა) შობილი საქართველოს მოქალაქე მამისაგან საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარეთ.

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან.

გ) ცოლი, ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა. კანონიერის წესით ნაშვილები (შვილად აყვანილა) საქართველოს მოქალაქისაგან.

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც დაქვრივების, ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო უწლოვანო შვილები ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ისინი ერთ წლის განმავლობაში და სრულ წლოვანობის შემდეგ არ განაცხადებენ, რომ სურთ მამის მოქალაქეობაში დარჩენა.

ვ) უცხოელთა უწლოვანო შვილები, ქორწინებაში, თუ მის გარეშე შობილნი იმ დღიდან, როცა მათი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას.

ზ) შვილები საქართველოს მოქალაქე ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდა, მაგრამ მუდმივად სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ისინი ერთი წლის განმავლობაში და სრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებენ, რომ სურთ მამის მოქალაქეობა შეინარჩუნონ და

თ) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

7. ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოებისათვის შუამდგომლობას აღძვრა შეუძლია უცხო უქვეშევრდომს ან ქვეშევრდომს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს ადგილობრივ თვითმართველობის საბჭოს, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას თუ მას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნე პირად არ მიიჩნევს. თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შენიშვნა: 1. ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი მეცნიერული შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივ მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელადაც იქმნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ.

შენიშვნა: 2. აგრეთვე ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი.

8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

9. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილი პოლიტიკური უფლებით.

10. საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეობას კარგავს: ა) ვინც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომობას მიიღებს ნატურალიზაციის წესით. ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამსახურში შევა საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად. გ) ვინც სამხედრო ბეგარის და სხვა სახელმწიფო ვალდებულების მოხდის შემდეგ განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობიდან ამოირიცხოს. დ) ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს სურვილს საქართველოს მოქალაქედ დარჩენისას.

III.

11. 1918 წლის ივლისის 16-ს დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა გაუქმებულ იქნეს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

ამდენ ხანს ერთათ არსებული სამათემატიკო-საბუნების-მეტყველო სამკურნალო ფაკულტეტი ბუნებრივი ზრდა-განვითარების გამო ორ დამოუკიდებელ ფაკულტეტათ გაიყო: სამათემატიკო-საბუნების მეტყველო ფაკულტეტათ და სამკურნალო ფაკულიტეტათ. არჩეულ იქნენ ახალ დეკანები და მდივნები. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე დეკანათ არჩეულ იქმნა: ი. ჯავახიშვილი, მდივნათ აკ. შანიძე, შემოდგომიდან სამკურნალო ფაკულტეტზე მესამე კურსი იხსნება, ხოლო სამათემატიკო საბუნების მეტყველოზე—სამეურნეო განყოფილება.

უნივერსიტეტში პროფესორათ მოწვეულ არიან: აკადემიკოსი სერგი ნავაშინი (ბოტანიკის კათედრაზე), ოდესის უნივერსიტეტის პრივ. დოც. იასონ მოსეშვილი (ქიმიის კათედრაზე მეორე პროფესორათ), ოდესის პოლიტეხნიკუმის დოცენტი დიდებულიძე (ფიზიკის კათედრაზე).

რუსეთიდან რადიო დეპეშებისა და წერილების საშუალებით გამოწვეულ არიან უნივერსიტეტში პროფესორათ არჩეული მეცნიერები.

სამთო - მადნო წარმოება საქართველოში

ჩატახის თუჯის ქარხანა.

ჩატახში, ბორჩალოს მაზრაში, არსებობთუჯის ჩამოსხმელი ქარხანა. ეს ქარხანა მუშაობდა იქვე ჩატახის რკინის მადნით, ხოლო უკანასკნელ დროს შეჩერებულია.

ჩატახში გამოკვლეულია დაახლოებით 500,000,000 ფუთი რკინის მადანი, საერთო შემადგენლობით 50°/₀ რკინისა. ამ მადნის დამუშავება და თვით თუჯის ქარხნისაც შესაძლებელია პატარა მასშტაბით, როდესაც ჩვენ გვექნება საკუთარი კოკსი (იგულისხმება ტყვარჩელის ნახშირიდან).

დღეს დღეობით ამ ქარხანაში ინახება დარჩენილი ქონება შენობების გარდა, 12 სხვა და სხვა დაზგა, საჰვრეთი, სახარატო და სხვა. 12 ათასამდე ფუთი თუჯი, ხის მწდელები თუჯის ჩამოსასხმელ სხვა და სხვა ნაწილებისა, ორი ასაწევი ონკანი 100 ფუთიანი სიმძლავრისა და სხვა. ამ ქონების დასაცავათ მიჩენილი ჰყავს სათანადო დარაჯი.

ართვინის ოლქის წარმოება.

აღსანიშნავია ართვინის ოლქის ორი უდიდესი წარმოება სპილენძისა და საუკეთესო ამერიკის ტიპის ქარხნებისა ძანსულში და კვარცხაანაში. თითეული მათგანი ნავარაუდევია 200,000 ფუთი სპილენძის გამოდნობა-

ზე წლიურათ. მადანი გამოკვლეულია პირველის 4.000.000 ფუთი; ხოლო მეორესი 35.000.000 ფუთი. ეს უკანასკნელი შეიცავს ვერცხლსაცა და ოქროსაც.

მცირე აღწერა სამთა-მადნო სიმდიდრისა.

მცირე აღწერა საქართველოს სამთა-მადნო სიმდიდრისა და მისი მნიშვნელობა საქართველოში სამთო მრეწველობის განსაფართოებლათ ასეთია:

საქართველოს ტერიტორიაზე არის 450 მადნის გამოსავალი 18 სხვა და სხვა მადნისა. მათში არის: ნავთის 69 გამოსავალი. სპილენძის 68, ნახშირის—56, ტყვია ვერცხლისა—55, შავი ქვისა—45, რკინისა—31, გოგირდისა—23, მარილისა—22, თუთიისა (ЦИНКЪ)—11, სურმისა—8, ოქროს ნიშნები—6 და სხვა.

ჭიათურის შავი ქვა უპირველესია მთელ დედამიწის ზურგზე და შეიცავს მდიდარ მინერალს—პიროლიუზიტს, რომ 22 წლის განმავლობაში (1893—1916 წ.) ჭიათურიდან გაიტანიათ 635.295.000 ფუთი შავი ქვა და არის კიდევ გამოკვლეული 6, 5 მილიარდი ფუთი მადანი.

ყურადღებას იქცევს ტყიბულის ქვანახშირი, მისი სიმძლავრე 11—12-საჟ. ნახშირიან ფენებით. სულაა გამოკვლეული 6 მილიარდი ფუთი. შემდეგი ყურადღება მიქცეულია ტყვარჩელის ქვანახშირზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს საუკეთესო ქვანახშირი 9000 კალორიის სითბოს სიძლიერისა, აძლევს 68%, კოკსს და სიმძლავრე აქვს 2,84—8,25 მეტრი. გამოკვლეულ ნახშირის რაოდენობა უდრის $13^1/_2$ მილიარდ ფუთს.

შემდეგაა ჩვენი სპილენძის მადნეულობა, ნავთის მოსალოდნელი გამოსავლები, მინერალური წყლები და ტალახები, აგრეთვე სხვა მინერალების და მადნეულობების მდგომარეობანი და სიმდიდრენი.

ჯერ ცალკე: ბათომის ოლქის სპილენძისა და ოქრო ნარევ მადნის საკითხი.

განმარტება.

მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო გარეშე ქვეყნებთან და იმ პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელსაც დღესაც განიცდის საქართველოს რესპუბლიკა მეტათ მძიმე პირობებში ჩააყენა რესპუბლიკის სამთო მრეწველობა, რადგან უმთავრესი შტონი ამ მრეწველობისა მოკლებულნი იმ საჭირო მასალებს, რომელნიც საზღვარ გარეთიდან შემოჰქონდა და კიდევ საკვების და მუშა ხელის უქონლობის გამო, იძულებულნი გახდენ მოქმედება შეეჩერებინათ.

[illegible] 1918 წელს შემოსავალი სამთო ნაღალისაგან თითქმის სრულიათ არა "ყოფილა. თანახმად 13 ივლისის 1913 წ. ხელშეკრულებისა ტყიბულის მადნები გაცემულია იჯარით ტყიბულის ქვანახშირის საზოგადოებაზე. ფუთზე $^1/_4$ კაპ. საფასურით იმ პირობით, რომ პირველ 4 წელიწადს უნდა ამოიღოს ქვანახშირი ამ საზოგადოებამ არა ნაკლებ 1.000,000 ფუთისა ყოველ წელს და უკანასკნელ წლებში კი არა ნაკლებ 1.500,000 ფუთისა.

ზემოთ აღნიშნულ ხანის განმავლობაში ამ ხელშეკრულობის ძალით ამოღებულ ნახშირის რაოდენობა განიზომება 1.016,667 ფ. ფუთზე $^3/_4$ კაპ. გადასახადის კვალობაზე ეს შეადგენს 7,695 მანეთს.

დ ა ს კ ვ ნ ა.

აღსანიშნავია, რომ 8 თვის განმავლობაში მოქმედება სამთო სამმართველოსი იყო ხანა ორგანიზაციისა.

უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი სამართველოს ნაყოფიერი მუშაობისთვის იყო უქონლობა ახალ სამთო კანონისა ძველის მაგიერ, თუ ძირიანათ შეცვლის შემდეგ, და ის დუალიზმი სამთო საქმის წარმოებაში, რომელიც ბევრჯელ აბრკოლებდა საქმეს მიწათ მოქმედების სამინისტროს გადაშენებულ ორგანოებსა და სამთო სამმართველოს შუა.

პერსპექტივები.

სამთო მრეწველობას ისეთი მთიან ვულკანურ მხარისა, როგორიცაა საქართველო, ამ ხელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში, უსათუოთ უნდა ეჭიროს უდიდესი ადგილი; იგი ჩვენს ქვეყანაში ნაკლებადაა განვითარებული და მოითხოვს დიდ მატერიალურ სახსარს. საჭიროა მკვიდრი პოლიტიკურ-სოციალური პირობები. უეჭველათ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი დეკრეტი მიწის გულის გასახელმწიფოებრივობისა და შემდეგ ახალი სამთო კანონი, დახავსებული ძველი კანონის მაგიერ, გაადვილებს მრეწველთა საქმიანობას [illegible] გაჩაღებას. თვით სამთო სამმართველოს რეორგანიზაცია უთუოთ ხელს შეუწყობს ამავე საგანს, რასაკვირველია, ბევრათ უფრო, ვიდრე ძველი ბიუროკრატიული გამგეობა.

ხოლო აღსანიშნავია, რომ უგზოობა ყოველთვის იყო და იქნება უდიდესი მტერი სამთო მრეწველობის შექმნისა ჩვენს ქვეყანაში. ამ სიძნელეს იმედია მოევლინება ერობების დაარსებით.

მეორე უმთავრესი ფაქტორი სამთო და საერთოთ სხვა მრეწველობის განვითარებისა, ესაა იაფი მმოძრავი ძალა, ამიტომ თეთრი ნახშირის გამოყენება და იაფი ენერგიის შექმნა უნდა წინაუძღოდეს სამთო საქმეს.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მომავალში გეოლოგიური კვლევა-ძიების გაძლიერებას და ამ გზით მძლავრი კერძო თუ სახელმწიფო ინიციატივის გამოყენება დასამუშავებლათ ისეთი სიმდიდრისა, როგორიცაა ტყვარჩელის ქვა ნახშირი, კახეთის, გურიის და ბაღდადის ნავთი, ბორჩალოს და სვანეთის ოქრო, ყაზბეგის სპილენძი, რაჭის მაზრის უდიდესი შავი ქვა, ტყვია, ვერცხლი და ოქრო ნარევი სპილენძი და სხვა და სხვა.

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

ფრანგული პრესა.

იტალიის ელჩმა პარიზში ორშაბათს დილით პიშონს შეატყობინა, რომ ორლანდო და სონონი ორშაბათს საღამოთი გამოდიან რომიდან და პარიზში ოთხშაბას დილით ჩამოვლენ. პიშონმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ სამთა საბჭოს აცნობა.

ბელგიის სამეფო საბჭომ ნუმანსის მოხსენების მოსმენის შემდეგ ერთხმად დაადგინა ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას და ამასთანავე აღნიშნა, რომ მოკავშირეებმა ფინანსიური და ეკონომიური დახმარება უნდა აღმოუჩინონ ბელგიას.

ფიქრობენ, რომ საზავო ხელშეკრულება გერმანელებს, შესაძლებელია, ხუთშაბათს გადასცენ.

რუმინიის ბეჭვდითი სიტყვის ბიუროს ვენიდან აუწყეს, რომ რუმინიის ჯარი ბუდაპეშტში შევიდა.

ბერნიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მიუნქენი საბოლოოდ მთავრობის ჯარის ხელში გადავიდა. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. ქალაქის განაპირა უბნებში ყაზარმებთან და სადგურთან ბრძოლა ისევ გრძელდება.

გერმანიის პარლამენტის ცენტრის პარტიის ცნობების თანახმად, ყოფილი კაიზერი გერმანიაში დაბრუნების ნებართვას თხოულობს.

გერმანული პრესა.

მაისის 12, სენ-ჟერმენში ჩამოვა გერმანულ ავსტრიის დელეგაცია, რომელიც 30 კაცისგან შესდგება. დელეგაციის თავმჯდომარედ დანიშნულია ავსტრიის ყოფილი სამხედრო მინისტრი კლეინი.

ვერსალიდან რანტცაუმ ბერლინში დეპეშით აუწყა, რომ ის შეეკითხა მოკავშირეებს, თუ როდის ჩააბარებენ გერმანიის დელეგაციას საზავო ხელშეკრულებას. რადგანაც კვირას, პირდაპირი პასუხი არ მისცეს, გერმანიის დელეგატს პასუხის უკანასკნელ ვადათ ორშაბათი დაუნიშნეს.

ქუთაისი

○ ამ მოკლე ხანში დამსახურებულ მსახიობ ქალს ნინო ჩხეიძეს გაუმართავენ იუბილეს მისი სასცენო მოღვაწეობის გამო.

○ სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დააპატიმრა და საგუბერნიო ციხეში მოათავსა ქალაქის მცხოვრებნი: ივანე სამსონის ძე მეავანაძე და ალექსანდრე დავითის ძე საყვარელიძე. პირველს ბრალდება ქურდობა, ხოლო მეორე, როგორც მავნე პირი რესპუბლიკისა.

დღეს ჩვენს გაზეთს თან ართავს საქ. დამფუძ. კრების მეშვიდე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში. გაზეთი ამ დამატებასთან ერთად ღირს 2 მან.

ქრონიკა

○ რედაქციამ მიიღო თ. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა: „არითმეტიკის სახელმძღვანელო, სრული კურსი უმაღლეს დაწყებითი და საშუალო სასწავლებლის პირველი, მეორე და მესამე კლასისა, შედგენილი ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორის მ. ყ. ზაალიშვილის მიერ". წიგნი შეიცავს 165 გვერდს და ღირს ათი მანეთი.

○ დღეს ქართულ კლუბში ვახტანგ ღამბაშიძე წაიკითხავს ლექციას: „ცოტა რამ ევროპის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ". ლექცია ბუნდოვანი სურათებით, დაიწყება სრულ 8 საათზე.

○ 5 მაისს მე-6-ე უბნის კომისარმა ჯაჯანაშვილმა შეიპყრო ნიკოლოზ და არტაშეს არუთინოვები, რომელთაც ამას წინად ნავთლუღის ქუჩაზე ოსიპოვის ბინიდან შერჩეული გასაღებით გაიტანეს 19000 მანეთი. გატაცებული ფული მათ უკლებლივ აღმოაჩნდათ, რაც პატრონს გადაეცა.

○ განზრახულია ამ მოკლე ხანში მოახდინონ ტფილისის მილიციის რეორგანიზაცია ფართო მასშტაბით.

○ მეოთხე სამილიციო უბნის კომისრათ დაინიშნა კ. მიქაბერიძე.

○ მაისის 6-ს საღამოთ მატინოვის ქუჩაზე მიმავალ ლ. ჯაფარიძეს და ტ. ტაბიძეს თავს დაესხნენ მძარცველები და ჯაფარიძეს წაართვეს ოქროს საათი, ფული და გახადეს ტანისამოსი. მძარცველები მიიმალნენ.

○ 26 მაისს ღამით ალექსანდრეს ბაღში სამაზრო ერობის საწყობიდან მოიპარეს 7300 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

○ 6 მაისს დღისით ვორვარინოს ქუჩაზე 15 წლის ყმაწვილმა ვლ. ჯაფარიძემ რევოლვერით თავი მოიკლა.

○ წ. ქ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 7 მაისის საგანგებო კრებაზე დაადგინა: თუ ყოფილი სტიპენდიატები, რომელნიც ვალდებულნი არიან სასტიპენდიო წესების თანახმად გადაიხადონ მათ მიერ სესხის სახით მიღებული სასტიპენდიო ფული, ორი კვირის განმავლობაში არ შემოიტანენ მათზე დარჩენილ ვალს, გამგეობა იძულებული იქნება გამოაცხადოს გაზეთებში ზემოხსენებულ პირთა გვარი, სახელი და ვინაობა.

○ ქალაქის არჩევნები გუმბრში დამთავრებულა. არჩეულია საბჭოში 38 დაშნაკელი, 9 სომეხი სახალხო პარტიის და 5 სოციალისტურ ბლოკისა.

○ ჟუკოვსკის ქ. მცხოვრება ა. სააკოვმა მილიციას განუცხადა, რომ 7 მაისს მისი ბინიდან მოიპარეს 77 ათასი მანეთის ნივთები. მილიციამ დააპატიმრა ქურდები ასტხიკ სააკიანცი, სედრაკ არაკელიანი და გარეგინ შახნაზაროვი, რომელნიც ქურდობაში გამოტყდნენ.

○ ქ. ტერ-მიკირტიჩიანცის ბინიდან (ბებუთოვის ქუჩა) ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს 20,000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები.

○ 7 მაისს დილით ხოჯივანქის სასაფლაოზე მილიციონერებმა იპოვეს ვარ.თან ვერდიანცის გვამი. როგორც გამოირკვა იგი მოუკლავს მის ცოლს რამოდენიმე პირის დახმარებით, რომელნიც დააპატიმრეს.

წესდება საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებისა.

§ 72.

იმ აქციონერს, რომელიც არ დაეთანხმება უმრავლესობას, ნება აქვს თავისი ცალკე აზრი წარმოადგინოს, რაიც ჩართულ უნდა იქნას საზოგადო კრების ოქმში. ასეთ ცალკე აზრის პატრონს ნება აქვს შვიდის დღის განმავლობაში თავისი ცალკე აზრი აღნიშნოს წერილობით და წარადგინოს კრების ოქმში ჩასართავად.

§ 73.

საზოგადო კრებაზედ კენჭის ყრა ფარული უნდა იყოს, თუ ამას მოითხოვს თუნდ ერთი აქციონერი, რომელსაც ხმა აქვს. ფარული კენჭის ყრა სავალდებულოა, თუ საქმე შეეხება საზოგადოების გამგეობას, სარევიზიო და სალიკვიდაციო კომისიების წევრების არჩევას ან გადაყენებას დი სამართალში მიცემას.

§ 74.

საზოგადო კრების დადგენილებანი სავალდებულოა ყველა აქციონერისათვის, როგორც კრებაზედ დამსწრეთა, ისე არა დამსწრეთათვისაც.

§ 75.

დაწერილებითი ოქმი უნდა შესდგეს იმ საქმისა, რომელსაც კრება განიხილავს და გადასწყვეტს. კრების გადაწყვეტილებასთან ერთად უნდა მოხსენებული იყოს, რამდენი ხმის უმეტესობით გადაწყვიტა კრებამ ესა თუ ის საგანი. ოქმს ადგენს თავმჯდომარის მიერ მიწვეული მდივანი. ოქმის სწორედ შედგენას ამოწმებს თავის ხელის მოწერით თავმჯდომარე კრებისა და აგრეთვე სხვა აქციონერები, მხოლოდ რიცხვი მათი სამზედ ნაკლები არ უნდა იყოს. გამგეობის მიერ შემოწმებული პირი საზოგადო კრების ოქმისა, ცალკე აზრისა და საერთოდ ყოველი მისი დამატებისა უნდა მიეცეს ყველა აქციონერს, ვინც მოისურვებს მის მიღებას.

საზოგადოების საქმის გარჩევა, პასუხისმგებლობა და მისი მოქმედების მოსპობა.

§ 76.

ყველა დავა საზოგადოების საქმეების შესახებ აქციონერთა შორის ატეხილი, ან მათსა და გამგეობის შორის მომხდარი, ან დავა გამგეობის წევრებისა და სხვა ამორჩეულ პირთა შორის, ან დავა საზოგადოებისა ამხანაგობებთან, საზოგადოებებთან და კერძო პირებთან გაირჩევა აქციონერთა საზოგადო კრებაზედ, თუ ამაზედ ორივე მოდავე თანახმა იქნება, ანუ საერთო სასამართლოში.

§ 77.

საზოგადოება პასუხს აგებს მარტო თავის საკუთარი ქონებით, ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას საქმე კარგად ვერ წაუვა ან მას დაედება ვალები, მაშინ ყოველი აქციონერი პასუხს აგებს მარტო შეტანილი თანხით, რომელიც უკვე წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას; ამაზედ მეტს საზოგადოების საქმისათვის აქციონერი არც პირადი პასუხისმგებლობით და არც დამატებით გადასახადს არ გადაიხდის.

§ 78.

ვადა საზოგადოების არსებობისა არ არის განსაზღვრული. უკეთუ საქმის ვითარების მიხედვით საჭირო იქნა მიჩნეული საზოგადოების დაშლა, მაშინ მისი მოქმედება შეჩერებული იქნება აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით. უკეთუ საზოგადოების ანგარიშებიდან აღმოჩნდა, რომ დაკარგული თანხა, რომელიც უდრის ძირითადი თანხის ორ მეხუთედს და აქციონერები არ შეავსებენ ერთი წლის განმავლობაში დღიდან ანგარიშის დამტკიცებისა საზოგადო კრების მიერ, მაშინ საზოგადოება სპობს თავის არსებობას. უკეთუ აქციონერები ხმის უმეტესობით გადაწყვეტენ შეავსონ დაკარგული ორი მეხუთედი ძირითადი თანხისა და რომელიმე აქციონერი არ შემოიტანს თავის აქციების ხვედრს შესატანს ზემოხსენებულ ვადაზე, მაშინ მისი აქციები გამოცხადდება გაბათილებულათ და გამოქვეყნებულ იქნება ყველას საყურადღებოთ. გაბათილებული აქციები უნდა შეიცვალოს ახალი აქციებით იმავე ნორმებითა, რომლებსაც საზოგადოების გამგეობა ჰყიდის ადგილობრივი დალალის (მაკლერის) შემწეობით; აღებულ ფულიდან ჯერ დაიფარება გაყიდვის და განცხადებათა ხარჯები, ნაწილიც ძირითადი თანხის შესავსებათ, მხოლოდ დანარჩენი ფული დაუბრუნდება გაბათილებულ აქციის პატრონს.

შენიშვნა: ნაწილი ძირითადი თანხის შესავსებათ უდრის თანხას, რომელიც თითო აქციაზედ დამატებითი გადასახადი იქნება.

§ 79.

უკეთუ საზოგადოების გაუქმება გადაწყვეტილი იქმნება, აქციონერთა საზოგადო კრება თავის წრიდან ირჩევს სალიკვიდაციო კომისიას, შემდგარს არა ნაკლები სამი წევრისაგან. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის თანხმობით კრება ადგენს საზოგადოების ლიკვიდაციისათვის წესრიგს. საზოგადო კრების დადგენილებით და ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ნებართვით ადგილი სალიკვიდაციო კომისიისა შეიძლება გადატანილ იქნეს სხვა ალაგას. სალიკვიდაციო კომისია ჩაიბარებს საქმეებს გამგეობისაგან, მოიწვევს უწყებების და განცხადებების საშუალებით საზოგადოების კრედიტორებს, მიიღებს ყოველგვარ ზომებს მათ დასაკმაყოფილებლად, მოახდენს საზოგადოების ქონების რეალიზაციას და ეცდება მესამე პირებთან მორიგეობით გაათავოს საქმე იმ ფარგალში, რომელსაც საზოგადო კრება უჩვენებს. კრედიტორებისა და სადაო მოთხოვნილებების აუცილებელი დაკმაყოფილებისათვის საჭირო თანხები სალიკვიდაციო კომისიას შეაქვს რომელიმე ბანკში კრედიტორების სახელზე, ხოლო მანამდის დაკმაყოფილება აქციონერებისა საზოგადოების განკარგულებაში დარჩენილ ქონებიდან არ შეიძლება. თავის მოქმედების შესახებ ანგარიშს სალიკვიდაციო კომისია წარუდგენს განსაკუთრებულ კრებას იმ ვადაზედ, რა ვადასაც კრება დაუნიშნავს, მაგრამ ამის მიუხედავათ ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ კომისია წარუდგენს საერთო ანგარიშს. უკეთუ ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ, ვისაც ფული ერგება არ გამოცხადდა და ვერ ჩაიბარა თავისი ხვედრი ფული, მაშინ საზოგადო კრება გადასწყვეტს, თუ სად უნდა იყვეს ეს ფული გადაცემული ვიდრე პატრონს ჩაბარდებოდეს და რა უნდა უყონ იმ ფულს მაშინ, უკეთუ უკანასკნელ ვადაზედ პატრონი არ გამოცხადდეს.

§ 80.

ლიკვიდაციის დაწყება, მისი დამთავრება და მათ შესახებ განკარგულება-განმარტებანი ეუწყება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს პირველ შემთხვევაში გამგეობის მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში სალიკვიდაციო კომისიის მიერ. გარდა ამისა უნდა სათანადო განცხადებანი მოხდეს აქციონერთა და იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც საზოგადოებასთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ.

§ 81.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საგანი ან საკითხი ამ წესდებაში გათვალისწინებული არ არის, საზოგადოება ხელმძღვანელობს კანონებით, რომელნიც სააქციო საზოგადოებათათვის არის გამოცემული, ან საზოგადო კანონებით, რომელნიც ახლა არსებობს და შემდეგში გამოიცემა.

განცხადებები

ვლასი მოსეს ძე მეგრელიშვილმა დაჰკარგა პასპორტი, მიცემული ტფილისის მილიციის უფროსის მიერ მაისის 6, 1917 წელს, № 864. ჩაითვლოს გაუქმებულად. 599 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარაალური ანდერძი ბარბარე თედორეს ასულის ნეჩიტალენკოსი 1919 წ. აპრილის 26. 773 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა შინაური ანდერძი ალექსი ტიმოთეს ძე კრიჟანოვსკის 1919 წ. აპრილის 29. 776 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ივანე იორდანის ძე მესხიშვილის 1919 წ. აპრილის 29. 775 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა შინაური ანდერძი ნიკოლოზ ირაკლის ძე სემიონოვის 1918 წ. აპრილის 29. 778 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი მარიამ იულიანის ასულის კროპინსკის 1919 წ. აპრილის 29. 777 1—1

ნატალია ალექსანდრეს ასული ბარნოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი № 574, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
595 3—1

1918 წელს ნოემბრის 23, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქრისტეფორე ივანეს ძე კილიტჩევმა 60,000 მან. მიჰყიდა ტიგრან მიკირტუმის ძე ოგანესიანს მიწის ნაჭერი, ზომით 226⁷/₈ ოთხკ. საჟენი, მდებარე ქალ. ტფილისში მე-6 უბანში, ფალავანდოვის ქუჩაზე, ქალაქის № 147. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 40 კაპ., სიმტკიცის 2,400 მან., მთავარი ამონაწერი 300 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 248 1—1

1918 წელს ნოემბრის 6, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ვასილის ძე კარავკოვმა 2,100 მან. მიჰყიდა ვლადისლავა ვლადისლავის ასულს პლემბოცკის მიწის ნაჭერი, ზომით 125 ოთხკ. საჟენი, მდებარე ქ. ტფილისში მერვე უბანში, ქალაქ. № 1046. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მან. 50 კაპ., სიმტკიცის 84 მან., მთავარი ამონაწერი 10 მან. 50 კაპ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 242 1—1

1918 წელს ნოემბრის 23, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დარჩო ხუტოს ძე ხუდავერდოვმა 2,000 მან. მიჰყიდა მიკირტუმ კევორკის ძე დაბაკიანცს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 9 ოთხკ. საჟ. მდებარე ქ. ტფილისში, მეხუთე უბანში, ხარფუხის ქუჩაზე, ქალაქის № 621. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მან. 50 კაპ., სიმტკიცის 80 მან., მთავარი ამონაწერი 10 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 247 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალ. ანდერძი ალექსსანდრე ვლადიმერის ძე გუმინსკის 1919 წ. აპრილის 28. 779 1—1

1918 წელს ნოემბრის 16, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვლადიმერ იაკობის ძე პიკოვსკიმ 50,000 მან. მიჰყიდა ივანე ვლადიმერის ძე გუნცაძეს და ლიმონტი თარხნის ძე გამცემლიძეს ორი მიწის ნაჭერი, ზომით ერთი—150 ოთხკ. საჟ. და მეორე 30 ოთხკ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისში მერვე უბანში, 19 თებერვლის ქუჩაზე, ქალაქის № 84. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მან. 50 კაპ., გადასაწერი 1 მ. 20 კაპ., სიმტკიცის 2,000 მან., მთავარი ამონაწერი 250 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 227 1—1

მეიერსებ გაბრიელის ძე კრიხელი აცხადებს, რომ მამა მისის გარდაცვალების შემდეგ, მან დაჰკარგა ვექსილები და მამულის თავის სახელზე დაყორლნის საბუთი. ზემო აღნიშნული საბუთები გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 598 3—1

1918 წელს, ნოემბრის 18, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე სიდორის ასული კრავჩენკომ 1370 მან. მიჰყიდა ლაზარე ადამის ძე კობიევს მიწის ნაჭერი, ზომით 114,166 საჟ., მდებარე ქ. ტფილისში 11 უბ., დიდუბეში რკინის გზის ლიანდაგის იქით, ქალაქის № 395-ვ. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მან. 20 კ., სიმტკიცის 60 მ. 80 კ., მთავარი ამონაწერი 9 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 226 1—1

1918 წ. ნოემბრის 18, ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოლღა დავითის ასულმა ჰილაძემ 15,000 მან. მიჰყიდა ვასილ სიმონის ძე ყიფიანს ორი მიწის ნაჭერი, ზომით, ერთი—24 ოთხკ. საჟ. და ოთხკ. ადლი მეორე 30,75 ოთხკ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისში, მეორე უბანში, ვეძინის ქუჩაზე, ქალაქის № 832. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მან. 20 კ., სიმტკიცის 620 მან., მთავარი ამონაწერი 80 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 225 1—1

1918 წლის ნოემბრის 26-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ პეტრეს ძე სტელმა ჩუკმა 12000 მ. მიჰყიდა ელისაბედ მატენის ასულს ნაკელს მიწის ნაჭერი, ზომით 118 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-6 უბანში, ნავთლუღის ქუჩაზე ქალაქის № 690. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ. სიმტკიცის 480 მან. მთავარი ამონაწერი, 50 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე, მიცემულია. 246 1—1

1918 წ. ნოემბრის 26-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნინო სოლომონის ასულმა ერაძემ 4000 მ. მაჰყიდა სერაფიონ ზურაბის ძე აპრიამოვს, მიწის ნაჭერი, დაუზღვეველი შენობებით, ზომით 100 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში, მე-5 უბანში, ქალაქის № 811. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ. სიმტკიცის 160 მან. მთავარი ამონაწერი, 20 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე, მიცემულია. 245 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 6-ს დამტკიცებულია, იმავე წლის მარტის 22-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკიფორე გიორგის ძე ხურხუნაშვილმა 25.000 მ. მიჰყიდა კარპეზ ზურაბის ძე დვალიშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩაზე, ზომით სიგრძ. ჩრდ.—19 საჟ., სამხრ.—20 ს., სიგ.—აღმ.—4,88 ს. დას.—4,40 ს.

გადახდილია: სააქტო 1000 მ., მთავარი ამონაწერი 125 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია იმავე წლის აპრილის 6-ს. 733 1—1.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 8-ს დამტკიცებულია, 1918 წ. იანვრის 6 ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პარასკევა სამსონის ასულმა ქავთარაძემ 3000 მ. მიჰყიდა მენიკ ევგენის ასულს შამუგიას მიწის ნაჭერი შენობით მდებარე ქ. ახალ-სენაკში, ზომით $120^{70}/_{100}$ კვ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 240 მ. მთავარი ამონაწერი 30 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
734. 1—1

1918 წლის ნოემბრის 26-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ბეკლიარ სერგეის ძე საკოვმა, 6000 მ. მიჰყიდა სპარსეთის ქვეშევრდომს ხასან-კასიმ-ოღლის მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით აღმ.—11 არ. დას.—12 არ. სამხ.—7 და ჩრდილ.—$3^{1}/_{2}$ არ. მდებარე ქ. ტფილისში, ბოტანიკურ ქუჩაზე, ქალაქის № 477 გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 240 მან. მთავარი ამონაწერი 30 მ. ღირებულების სალერ[illegible]ზე მიცემულია. 244 1—1

1918 წლის ნოემბრის 18-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნინო ალექსანდრეს ასულმა აირაპეტოვმა 3000 მან. მიჰყიდა ალიმა-ხათუნა-მოლლა-ნაჯაფკიზის მიწის ნაჭერი, ზომით 40 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში მე-5 უბანში, ხარფუხის ქუჩაზე, ქალაქის № 668. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 172 მ. 80 კ. მთავარი ამონაწერი 22 ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 224 1—1

1918 წლის ნოემბრის 16-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ პავლეს ძე წიბაძემ 10000 მან. მიჰყიდა კარაპეტ არტემის ძე ოგანეზოვს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 50 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში მე-7 უბანში, ქალაქის № 847. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ., სიმტკიცის 400 მან. მთავარი ამონაწერი 30 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 223 1—1

1918 წლის ნოემბრის 16-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სერგი ვასილის ძე ეფიმოვმა 1200 მ. მიჰყიდა თედორე ნიკოლოზის ძეს ევგოროვს მიწის ნაჭერი, ზომით 180 ოთხკ. ს., მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 48 მ., მთავარი ამონაწერი 6 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 222 1—1

სოლომონ ივანეს ყანჩელი აცხადებს, რომ დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 584 3—3

კავკასიის ბანკის გამგეობა იუწყება, რომ ბილეთი № 47046, 1,000 მან. მიცემული ეკატერინე ავეტის ასულ ტერ-აბრამოვზე 1916 წელს, ნოემბრის 17, დაკარგულია. თუ ერთი წლის ვადაში უკანასკნელი განცხადებიდან, ზემო აღნიშნული ბილეთი არავინ წარმოადგინა ბანკში, ის გაუქმებულად ჩაითვლება. 801 3-3

ფოთის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ დანაკარგი მუდმივი ბილეთი არტემ გიორგის ძე ალავიძის, უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 806 3-3

ანნა ანდრიას ასული კაპანაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საწყერო წიგნაკი მიღებული სახელმწიფო მოსამსახურეთა კოოპერატივიდან № 2620, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 585 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 80728 25 მანეთის ღირებულების, რომელიც გაუქმებულათ ითვლება დღიდან განცხადებისა. 577 3—3

ნიკოლოზ ანდრიას ძე კაიშაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 188, მიღებული გორის თვითმართველობიდან 1914 წ. აგვისტოს 9. 532 3—3

ეკატერინოფელდში ახლად დაარსებული

საარჩევნო კომისია

ერობის ხმოსნების ასარჩევათ

იწვევს პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენლებს კომისიაში სამუშაოთ.

ბორჩალოს მაზრის ინსტრუქტორი
ბარტყელაშვილი.
817 1—1

გრიგოლ მაჭავარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც გარდა ფულისა იყო საჭირო საბუთები:

1) „ნაგანის“ სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა, მიცემული სახალხო გვარდიის მთავარ შტაბიდან.

2) სახალხო სახლში შესასვლელი მუდმივი ბილეთი.

3) ხელწერილი საგურამოს კომისრის ტატიშვილისა გვარდიისათვის ამუნიციის მიღების შესახებ.

4) კოოპერატივის წევრობის ბარათი. საბუთები გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს.
3—2

ოპეკუნი გარდაცვალებულ არშავის არუთინის ძე დიატიანცისა, მკრტიჩ ნერსის ძე მაგაკიანცი იუწყება, რომ დაკარგულია საქონლის მისაღები კვიტანციები რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორიდან, მიღებული იმავე საზოგადოების ოდესის კანტორიდან: № 6548673, 6550339, 6548529, 6548353, 6548996, 6548803, 6548815, 6548996, 6548803, 6548815, 6548816. 6548717 6548814, 6548634, კვიტანციები გაუქმებულად ითვლება. 591 3—2

ქართული აქციონერთა საზოგადოება ფოთში „ოქროს ვერძი“ აცხადებს, რომ ფოთის საბაჟოს კვიტანცია 22 თებ. წიგნი 30, ნუსხის ფურც. 3, 459 ფუთ ფურცლოვან რკინისა, რომლის ბაჟი უკვე გადახდილია და რომელიც ფოთში მოვიდა გემით, მოსვლა № 58, კონოს. № 88 და 109, რომ გადახდილია ბაჟი 703 მ. 50 კ. და სხვ. გადასახ. 656 მ. 89 კ., მიცემული საზოგადოების მოსამსახურე ნ. ჟღენტის სახელზე დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. 555 3—2

აპოლონ კოსტანტინეს ძე რუხაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა და იარაღის ტარების მოწმობა № 167, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 589 3-2

დაკარგულია ანდერძი, შედგენილი 1915 წ. აპრილის 16 ნოტარიუს ქართველიშვილთან ანნა პავლეს ასულ ირემეევას სახელზე და აღნიშნული სააქტო წიგნში მე-37 №-ით.
586 3—2

კონსტანტინე ფურცელაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვადა გასული პასპორტი № 414, მიღებული ტფილისის მიდამო მოქალაქეთა სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 574 3—2

ტფილისის საურთიერთო ნდობის მეორე საზოგადოების 7000 მანეთიანი ბილეთი №808 მიცემული 1917 წ. დეკემბრის 20-ს ამაიაკ ტერ-ბარსეგიანის სახელზე, გაუქმებულათ ითვლება. 588 3—2

გარნიზონის უფროსის საგამგეო ადიუტანტმა პოდპორუჩიკ რუსიევმა დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 455, მიღებული პირველ მარტს. მოწმობა გაუქმებულად ითვლება.
800 3—3

პირველი ქვეითა დივიზიის განსაკუთრებულ საპიროთა გუნდის უფროსი აცხადებს, რომ გუნდმა დაჰკარგა სახაზინო ლუქის ბეჭედი, რომელიც გაუქმებულად ითვლება. 769 3—3

აპრილის 25 სხვა ნივთებთან ერთათ დაკარგულია პასპორტი № 88, მიღებული 14 მარტს 1919 წელს, სტეფანე ისიდორეს ძე ბანძელაძეს სახელზე, შორაპნის მაზრის კომისარიატიდან, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 578 3—3

ქართულ აქციონერთა საზოგადოების „ოქროს ვერძი“-ს

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ფულის შემოუტანლობის გამო, რომელიც გამგეობას ეკუთვნოდა აქციების დროებით კვიტანციებით: 1918 წ. 28—30 მაისის თარიღით № 43, წიგნიდან № 2, 1918 წ. 5 ნოემბრის თარიღით № 69, წიგნიდან № 3 და 1918 წ. 15 ნოემბრის თარიღით № 66, წიგნიდან № 3; ყველა ზემო აღნიშნული კვიტანციები საზოგადოების წესდების მე 9 პარაგრაფის ძალით გაუქმებულათ ითვლება.

გამგეობა.

596 3—1

კოოპერატივ „ორთაჭალა“-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, მაისის 11-ს, დილის 10 საათზე, ტოლეს საპნის ქარხანაში, ვორონცოვის ქ., № 19, დანიშნულია კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საკითხები:

1. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
2. გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ.
3. გადასინჯვა და დამტკიცება 1918 წ. ანგარიშისა და დამტკიცება 1919 წ. შემოსავალ-გასავლისა.
4. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.

თუ ეს კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება მოხდება იმავე დღეს, იმავე ადგილას, დღის 12 საათზე, და კანონიერათ ჩაითვლება მიუხედავათ დამსწრე წევრთა რაოდენობისა. 582 2—2